

უცხოური ქართველოლოგია KARTVELIAN STUDIES ABROAD

ბერნარ უტიე
საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი
DOI: 10.32859/kadmos/16/262-266

ძველი იერუსალიმური წესის სახარების საკითხავთა ქართული რედაქციის საძიებლის ფრაგმენტი*

მამა დევოსი** არაერთხელ დაინტერესებულა „ეგერიის მოგზაურობით“ და აღუნიშნავს მ. თარხნიშვილის მიერ 1959-1960 წწ. „იერუსალიმის ეკლესიის დიდი ქართული ლექციონარის“ გამოცემის მნიშვნელობა პილიგრიმის მიერ ლიტურგიასთან დაკავშირებით მოწოდებული ცნობების გასაშუქებლად.

Colligite fragmenta: ახლა, როცა კ. კეკელიძის 1912 წლისა და ზემოთ მითითებული გამოცემის შემდეგ ვამზადებთ ამ დიდი ტექსტის *editio maior*-ს, ვაგრძელებთ „იერუსალიმის ეკლესიის დიდი ქართული ლექციონარის რედაქციის“ ფრაგმენტებისა და უშუალო დამოწმებების გამოქვეყნებას.¹ თუმცა, ძვირფასი მამა დევოსი ჩვენ შორის აღარაა, მათი მნიშვნელობა რომ შეაფასოს. დარწმუნებული ვარ, იგი ამას დიდი ინტერესითა და ზედმიწევნით ზუსტად გააკეთებდა. დაე, ზეციური იერუსალიმიდან დეტალურად შეაფასოს მიწიერი იერუსალიმის ლიტურგიის ეს მცირედი ნარჩენები.

* Bernard Outtier, “Un fragment d’index géorgien des lectures évangéliques selon l’ancien rite de Jérusalem”, *Cahiers d’orientalisme* 25, Genève, 2005, p. 273-278.

** მამა პოლ დევოსი – (1913-1995) იეზუიტი ბერი, ბოლანდისტი. იკვლევდა სლავურ, კოპტურ და სირიულ ტექსტებს [ც.ბ.].

1 ეს მეექვსე სტატიია ანალოგიური ფრაგმენტებისადმი მიძღვნილი სტატიების სერიიდან: *Fragments onciaux du Lectionnaire géorgien*, I. *Fragments de Bzommar* (Liban), in: *Bedi Kartlisa* (ქვემოთ - BK), XXXIII, 1975, p.110-118; *Fragments onciaux du Lectionnaire géorgien*, II, in: *BK XXXIV*, 1976, p. 97-101; *Nouveau fragments onciaux du Lectionnaire géorgien ancien*, in: *Lingua restituta orientalis*, Festgabe J. Assfalg, Wiesbaden, 1991, p. 269-271; *Nouveaux fragments onciaux du Lectionnaire géorgien ancien*, IV, in: *Langues orientales anciennes, Philologie et linguistique* 4, 1993, p. 31-34; *Deux fragments onciaux inédits d’un Lectionnaire géorgien de Jérusalem*, (V), in: *Христианский Восток*, н. с. II, 2001, стр. 220-226.

ფურცლები, რომლებსაც ქვემოთ გაგაცნობთ, შემონახულია ერეენის მატენადარანში ლიტერით: ქართული ფრაგმენტები 35 და 36. ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ მათი არსებობის შესახებ ძველი ქართული ლექციონარის დამოწმებათა ზოგადი ტიპოლოგიის განხილვისას.² ფურცლის დიდი ნაწილის აღსადგენად ეს ორი ფრაგმენტი ერთად უნდა განვიხილოთ. მათი ზომებია, შესაბამისად, 164 x 110 და 163 x 111 მმ. დაწერილი იყო ორ სვეტად, გვერდზე 18 სტრიქონი. სტრიქონებს შორის მანძილი 9 მმ, ასოების სიმაღლე 4 მმ, მთავრულებისა 12 მმ; მანძილი სვეტებს შორის – 20 მმ, სვეტის სიგანე 60 მმ. გარე აშია 50 მმ, ზედა – 15 მმ, ქვედა – 45 მმ. რექტოს მეორე და ვერსოს პირველი სვეტი სრული სახით არის შემონახული, დანარჩენს წაჭრილი აქვს თავი. ორივე სვეტი შემოფარგლულია დაკანონების წერტილების ორი ვერტიკალური ხაზით სვეტიდან 33 მმ-ის მანძილზე. ტექსტი დაწერილია საკმაოდ თხელ, თეთრი ფერის ეტრატზე ღია ყავისფერი მელნით. უზვადაა გამოყენებული სინგურიც. დაზიანებამდე ხელნაწერის ზომა იქნებოდა 260 x 240 მმ. იგი უნდა ყოფილიყო ოთხთავი, რომელსაც ერთოდა ლიტურგიკულ საკითხავთა საძიებელი, მითითებული ჰქონდა ტექსტის დასაწყისი, დასასრული და ამონასეული ნაწილების ნომრები, რაც მისი მთელი ლიტურგიკული წლის დღესასწაულებისთვის გამოყენების საშუალებას იძლეოდა. აქედან გამომდინარე, ის წარმოადგენდა ლექციონარის პარალელურ სახარების საკითხავთა დამოწმებას. მეტად დახვეწილი და თანაბარი ხელი, სავარაუდოდ, X ს-ის მეორე ნახევრით უნდა თარიღდებოდეს. ფურცელი სომხური ხელნაწერის ფორმაცებად გამოსაყენებლად გაუჭრიათ, რასაც მოწმობს XIX საუკუნეში მისი მფლობელის სანახევროდ ჩამოჭრილი და წაშლილი ორი მინაწერი ნოტრიგირით, დათარიღებული იმპ/იმპტ-ით, 1250/1252, ანუ ახალი წელთაღრიცხვის 1801/1803 წლებით.

საქმე ეხება ქართულად ნათარგმნ იერუსალიმურ ლიტურგიას, უფრო ზუსტად, სახარებებს, რომლებიც იკითხებოდა წითელ პარასკევსა და აღდგომის მეორე ორშაბათს შორის. ამ პერიოდისთვის გვაქვს კალასა და ლატალის ლექციონარების ხელნაწერების, Sin.geo-37-ისა და პარიზის BnP3-ის თარხნიშვილისეული გამოცემა (რომლებსაც მივუთითებთ გამოცემის მიხედვით, როგორც K, L, S, P), ასევე Sin.geo-38-ის ბოლოს დართული, იოანე ზოსიმეს მიერ 979 წ. სინაზე კომპილირებული საძიებელი.³ არსებობს სხვა გამოუქვეყნებელი დამოწმებებიც. გთავაზობთ ფრაგმენტის ტექსტს:

2 B. Outtier, K. Kekelidzé et le Lectionnaire géorgien, in: *BK XXXVIII*, 1980, p. 23-35, cf. p. 33.

3 Ed. G. Garitte, Un index géorgien des lectures évangéliques selon l'ancien rite de Jérusalem, in: *Le Muséon* 85, 1972, p. 337-398.

[35ra]

[ზ სახარებად მა]რკოზისი: ს~ზ:
 [ხოლო სტრატიოტთა მათ
 [:ვიდრე: გალ]ილეადთ იერუსალჴმ:
 [გ სახარებად ლუ]კადსი: ტ~იზ:
 [და მოჰყვ]ანდეს სხოვ
 [:ვიდრე: იხი]ლეს ესე ყოველი
 [დ სახარებად ი]ოვანჴსი რ~ჟზ:
 [და მათ წ]არიყვანეს
 [:ვიდრე: ...] ოვგოვმირჴს
 [მწოვხრის]ა: ჟამსა

[36ra]

სახარებაჴ: მათჴსი: ტ~მჴ:
 და ვითარცა შემწოვხრდა:
 [:ვიდრე:] და წარვიდა:
 შემდგომად: ჟამი
 სა: სახარებად: იოვანჴსი: ს~ვ:
 ამისსა შემდგომად:
 :ვიდრე: საფლავი იგი:
 შაბათსა: ცისკრად: სახარე

[35 rb]

ზად მათჴსი: ტ~ნა:
 ხვალისაგან' რომელ არს:
 ვიდრე: დასისათანა:
 შაბათსა: მწოვხრი: ჟამის-წირ
 ვასასა: სახარებად: მათჴსი: ტ~ნზ:
 მწოვხრი შაბათსა:
 :ვიდრე: და ვიდრე ოვკოვნისამდე:
 აღვსებასა: ცისკრად:
 სახარებად: იოვანჴსი: ს~თ:
 ერთსა მას შაბათ:

[36rb]

:ვიდრე: და ესრჴთ ჰრქოვა მას:..
 სამხრად: სახარებად: მარკოზისი: ს~ლ:
 და ვითარცა გარდაჴდა:
 ვიდრე: რამეთოვ ეწინოდა:
 მეცხრესა: ჟამსა:
 სახარებად: ლოვკადსი: ტლთ:
 და აჴა ორნი მათგან
 :ვიდრე: პოვრისასა:

[35 va]

მწოვხრისა: ჟამსა: სახარებად

იოვანჴსი: ს~იგ:

და ვითარცა შემწოვხრდა:

:ვიდრე: მრწმენეს:.

ა ~ ბ ~ სახარებად: ლოვკადსი: ტლდ:

და შეოვდგეს მას დე

ვიდრე დაოვკვრდა საქმეჴს ესე:

:ა ~ :გ ~ სახარებად: ლოვკადსი: ტლთ:

და აჴა ორნი მათგან:

ვიდრე: პოვრისასა:

[36 va]

:ა~: დ~ სახარებად: ლოვკადსი: ტმ:

და ვითარ იგინი ამას:

ვიდრე ფერკნი მისნი:

:ა~: ე~ სახარებად მათჴსი: კდ:

და ვითარცა იხილა იესოჴ' ერი:

:ვიდრე: ზეცათასა:

ა~ ვ~ სახარებად იოვანჴსი: სით:

ამისსა შემდგომად

[35 vb]

ვიდრე მკოვდ[რეთით]

ა~ ზ~ სახარებად იოვანჴს[ი სკზ]

და ოდეს ისა[დილნეს]

:ვიდრე: აღწერილი [წიგნები]

ბ~: კ~: სახარებად იოვანჴს[ი:]

ახალ-კვრიაკის[ა ა~:]

პირველითგან [იყო სიტ]

:ვიდრე: ქრისტ ე იესოჴის მი[ერ იქმნა]

მეცხრესა ჟა[მსა მწოვხრი]

სახარებად ლოვკადსი: [ტმ:]

[36 vb]

და ვიდრე იგი ამას იტყო

ვიდრე: ფერკნი მისნი

მწოვხრისა ჟამსა იოვანჴსი სლზ

და შემდგომად რვისა დლი

:ვიდრე: სახელითა' მისითა:

:ბ~: ბ~ სახარებად იოვანჴსი ჴ:

ღმერთი არასადა ვინ იხი

ვიდრე და ნათელ სცემდა:

რამდენიმე შენიშვნა: გასაოცარია ასეთი თანხვედრა იერუსალიმის სომხურ ლექციონართან.⁴ სრულად ან ერთი-ორი მუხლის ფარგლებში ოცდაერთი დღესასწაულიდან ემთხვევა ჩვიდმეტი. ასევე, გასაოცარია აღდგომის ხუთშაბათს გრძელი საკითხავების არსებობა: მათე 5:1-16 vs მათე 5:1-12; ჩვენი ფრაგმენტი აქ თანხვედება ხელნაწერებს Sin.geo-38 და 54.⁵ წითელ პარასკევს წაკითხულ უკანასკნელ ფრაგმენტს კალის ლექციონარი იზოლაციიდან გამოჰყავს სომხურ-ქართულ ტრადიციაში; მათეს თავის „კლასიკური“ თხრობის ეს დუბლეტი სამარხის შესახებ (წინა საკითხავში) გვხვდება წესებში, რომელთა მიხედვითაც ოთხივე სახარება იკითხება „გვიანდელი“ სირიული და კოპტური ტრადიციების შესაბამისად.⁶ „დუბლეტის“ სხვა შემთხვევას ამყარებს ლატალის ლექციონარი, სადაც აღდგომის საღამოს საკითხავი, ლუკა 24:13-35, გატანილია იოანე 20:19-25-ის წინ. აქ „ეგერიას მოგზაურობის“ ყურადღებით წაკითხვა დაგვანახებს, რომ „სომხური ლექციონარის“ შემდეგ აღწერილი ვითარება გამარტივდა. აღდგომის კვირის სამშაბათსა და ოთხშაბათს გვაქვს თანხვედრა სომხურსა და Sin.geo-38-თან – ისევე, როგორც ბიბლიური საკითხავების თანმიმდევრობაში – განსხვავებით მხოლოდ და მხოლოდ ლატალის ლექციონარისგან. ახალ კვირას აღდგომის მსგავსი ვითარებაა: ერთი მათგანი გატანილია მეცხრე საათის, მეორე კი – ჟამის წირვის საკითხავად.

ამგვარად, აშკარაა, რომ ამ წამებული, მაგრამ შემონახული ფურცლის დამოწმება საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავეცნოთ იესოს წამებისა და აღდგომის მისტიერიას იერუსალიმში – მისტიერიას, რომლის მარადიულ ზეიმს ახლა უკვე მამა დევოც უერთდება.

ფრანგულიდან თარგმნა
ცისანა ბიბილეიშვილმა
კავკასიის უნივერსიტეტი
საქართველო
tsissana@hotmail.com

4 Ed. A. Renoux, Le codex arménien Jérusalem 121, II. Edition comparée du texte et de deux autres manuscrits (=Patrologia orientalis, t. XXXVI, fasc. 2, n. 168), Tournhout, 1971.

5 აღწერილია ბ. უტიეს მიერ, იხ. B. Outtier, Un témoin partiel du Lectionnaire géorgien ancien (Sin. georg.-54), in: *BK*, XXXIX, 1981, p. 76-88; cf. p. 84.

6 იხ. S. Janeras, Le Vendredi-saint dans la tradition liturgique byzantine, Structure et histoire de ses offices (= *Studia anselmiana* 99, *Analecta liturgica* 13), Rome, 1988, p. 353- 354.